

## გადაზღვევის საკითხები საქართველოს სადაზღვევო ორგანიზაციებში

თენგიზ ვერულავა, მარიამ ჩუბინიძე

*გამოქვეყნდა რეცენზირებად სამეცნიერო ჟურნალში "ჯანდაცვის პოლიტიკა და დაზღვევა" N 1 2015.*

**ციტირება:** თენგიზ ვერულავა, მარიამ ჩუბინიძე. „გადაზღვევის საკითხები საქართველოს სადაზღვევო ორგანიზაციებში“. *ჯანდაცვის პოლიტიკა და დაზღვევა*, №1 (2015).

<http://hepoins.com/index.php/component/k2/item/52-reinsurance>

### შესავალი

სადაზღვევო ინდუსტრიის ფუნქციონირება გადაზღვევის გარეშე წარმოდგენილია. გადაზღვევა დაზღვევის დამოუკიდებელი სახეა. მისი მიზანია შესაძლო ფინანსური ზარალისაგან მზღვეველის დაცვა. დაცვის მოცულობა განისაზღვრება გადაზღვევის ხელშეკრულებით. გადაზღვევის მეშვეობით მზღვეველს შეუძლია გაზარდოს თავისი სადაზღვევო პორტფელის მოცულობა, კერძოდ, მან შესაძლოა სადაზღვევო ხელშეკრულება დადოს რისკებზე, რომლებიც თავისი სრული ღირებულებით აღემატება მის ფინანსურ რესურსებს. გადაზღვევის მეშვეობით სადაზღვევო კომპანია დაცულია დიდი ზარალის გამომწვევი საფრთხეებისაგან.

ექვივალენტურობის პრინციპის მიხედვით, დაზღვეულთა მიერ სადაზღვევო ფონდში შეტანილი თანხების ჯამი საკმარისი უნდა იყოს მზღვეველის მიერ ზარალების და საკუთარი ხარჯების ანაზღაურებისათვის. მზღვეველი დაინტერესებულია გააფართოვოს საერთო ფონდი, რადგან რაც უფრო დიდია

გაერთიანება, მით მეტად დაბალანსებულია სადაზღვევო პორტფელი, რომელშიც შევა დიდი რაოდენობის რისკები. მაგრამ ერთი სადაზღვევო ორგანიზაციისათვის ძნელია დიდი რაოდენობით რისკების საკუთარ თავზე ალება, რადგან მისი შესაძლებლობები მაინც შეზღუდულია. კატასტროფული რისკები (მაგ., მიწისძვრა) არღვევს სადაზღვევო პორტფელის ბალანსს და რეალური საფრთხის ქვეშ აყენებს სადაზღვევო ორგანიზაციის შესაძლებლობებს თავისი ვალდებულებების შესრულების საკითხში. ამიტომ ფინანსური სტაბილურობის შესანარჩუნებლად მას სჭირდება რისკის სხვა მზღვეველებთან ერთად განაწილება (თანადაზღვევა) ან რისკის სხვაზე გადაცემა (გადაზღვევა).

საქართველოს კანონი დაზღვევის შესახებ განგვიმარტავს, რომ „გადაზღვევა არის ოპერაცია, რომლის დროსაც მზღვეველი გადაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე და თითოეული ასეთი ხელშეკრულების თავისებურების გათვალისწინებით ახორციელებს სადაზღვევო რისკის და მასთან დაკავშირებული ზარალის მთლიან ან ნაწილობრივ გადაცემას გადამზღვეველი კომპანიისათვის“ (კანონი დაზღვევის შესახებ. თავი პირველი, მუხლი მეორე).

თანამედროვე მსოფლიოში ეკონომიკაში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესის გამო გრძელდება გადაზღვევის კაპიტალის კონცენტრაცია, შედეგად იზრდება დიდი გადამზღვეველი კომპანიების რაოდენობა. მსხვილ გადამზღვეველ კომპანიებს შორის გამოირჩევიან: Swiss Re, Munich Re, General Colon Re, Lloyd's სინდიკატი.

თანამედროვე გადაზღვევის ბაზარს აქვს შემდეგი მახასიათებლები:

- გრძელდება გადაზღვევის ბიზნესის გეოგრაფიული დივერსიფიკაცია. რისკების გადანაწილებაში გადამზღვეველების ჩართვა მსოფლიო სადაზღვევო ბაზრის სტაბილიზაციის მიზნით.

- ვითარდება კლიენტების მომსახურების ახალი მიმართულებები, ასევე საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში ახალი სერვისების მიწოდება.

- ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა ხდება გადამზღვეველი კომპანიების უფრო ეფექტური მართვის ხარჯზე.

2001 წლის 11 სექტემბერს ამერიკაში მომხდარმა ტერორისტულმა აქტმა გავლენა იქონია გადაზღვევის ბაზარზე. 2002 წლიდან მსოფლიოს უდიდესმა გადაზღვევის კომპანიებმა 30 %-ით გაზარდეს ტარიფები, რამაც გადაზღვევის გაძვირება განაპირობა.

გადაზღვევის ოპერაციების კონცენტრაციის პროცესების შედეგად ჩამოყალიბდნენ დიდი გადამზღვეველი კომპანიები. გაერთიანებითა და შერწყმით ბიზნესის კონცენტრაცია ამცირებს გადამზღვეველი კომპანიების რიცხვს. მაგალითად, აშშ-ში ბოლო 15 წლის განმავლობაში გადამზღვეველების რაოდენობა 25%-ით შემცირდა.

გადაზღვევის შემდეგი სახეები არსებობს: ფაკულტატური გადაზღვევა, ობლიგატორული გადაზღვევა და ფაკულტატურ – ობლიგატორული გადაზღვევა.

**ფაკულტატური (არასავალდებულო) გადაზღვევის** არსი მდგომარეობს იმაში, რომ მზღვეველს არ აქვს რისკების გადაზღვევაზე გრძელვადიანი სახელშეკრულებო ვალდებულებები გადამზღვეველის მიმართ და აქვს თავისუფალი არჩევანი თუ რომელ ცალკეული რისკის გადაზღვევა შესთავაზოს და რა პირობებით. თავის მხრივ, გადამზღვეველსაც არ აქვს მზღვეველის მიმართ არანაირი ვალდებულება გადასაზღვევად რისკის მისაღებად და აქვს სრული თავისუფლება მიიღოს თუ არა რისკი გადაზღვევაზე. ფაკულტატური გადაზღვევის დროს გადაზღვევის პირობები თანხმდება და ხელშეკრულება ფორმდება თითოეული ინდივიდუალური რისკის მიხედვით.

ფაკულტატური გადაზღვევა მცირე სადაზღვევო კომპანიას საშუალებას აძლევს დააზღვიოს ისეთი რისკები, რომლებიც აღემატება მის ფინანსურ შესაძლებლობებს. გარდა ამისა, იგი დაბალანსებული და მდგრადი სადაზღვევო პორტფელის შენარჩუნების საშუალებას იძლევა. ფაკულტატური გადაზღვევის მეშვეობით მზღვეველს შეუძლია თავიდან აიცილოს დიდ და სახიფათო რისკებზე

ზედმეტი პასუხისმგებლობა, აგრეთვე აირჩიოს ყველაზე შესაფერისი გამამზღვეველი. ფაკულტატურ გადაზღვევას პირდაპირი მზღვეველი აგრეთვე მიმართავს იმ შემთხვევაში, როდესაც მზღვეველს არ აქვს დიდი სადაზღვევო საქმიანობის უფლება, აგრეთვე არ აქვს გამამზღვეველთან ურთიერთობების დიდი გამოცდილება.

ფაკულტატიური გადაზღვევას გააჩნია უარყოფითი მხარეები.

**არასაიმედოობა და დიდი დრო:** პირდაპირ მზღვეველს არ აქვს გარანტია იმისა, რომ გამამზღვეველი მიიღებს რისკს გადაზღვევაზე. რისკის გადაზღვევა არ მოხერხდება იქამდე, სანამ გამამზღვეველი მას არ შეისწავლის და არ დაადასტურებს თანხმობას. ამას დრო სჭირდება, ხოლო კლიენტებმა, რომელიც ჩქარობს, შეიძლება კონკურენტ მზღვეველს მიმართოს.

**კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება:** თითოეულ შემთხვევაში გამამზღვეველისათვის რისკის ხასიათის და დაზღვევის პირობების შესახებ ინფორმაციის გადაცემის საჭიროება განაპირობებს პოტენციური კონკურენტებისათვის კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებას.

**შრომისტევადობა:** ფაკულტატური გადაზღვევისას პირდაპირი მზღვეველი ვალდებულია წარუდგინოს გამამზღვეველს სრული ინფორმაცია თითოეული გადასაზღვევი რისკისა და ობიექტის შესახებ, რაც მოითხოვს მნიშვნელოვან ადმინისტრაციულ ხარჯებს.

როგორც წესი, ფაკულტატური გადაზღვევა მოითხოვს დიდ დროსა და ადამიანურ რესურსს, რის გამოც ის გამოიყენება განსაკუთრებული, არასტანდარტული რისკების გადაზღვევის დროს, როდესაც ობლიგატორული გადაზღვევა არ არის საკმარისი. ასევე ხშირად გამოიყენება განსაკუთრებით მაღალი სადაზღვევო თანის/ლიმიტის მქონე პოლისების გადასაზღვევად.

**ობლიგატორული გადაზღვევის** დროს ხორციელდება მთელი პორტფელის გადაზღვევა დაზღვევის კონკრეტულ სახეობაში, რომლის მიხედვით, პირდაპირი მზღვეველი ვალდებულია გადასცეს, ხოლო გამამზღვეველი ვალდებულია მიიღოს

გადაზღვევაზე ობლიგატორული გადაზღვევის ხელშეკრულებით განსაზღვრული ყველა რისკი, არცერთ მხარეს არ აქვს უფლება უარი თქვას ხელშეკრულებით განსაზღვრული რისკის მიღებაზე. ამის გამო, ობლიგატორულ გადაზღვევას ავტომატურ, სავალდებულო გადაზღვევასაც უწოდებენ.

ობლიგატორული ხელშეკრულებით განსაზღვრული რისკის კრიტერიუმებიდან და პირობებიდან ერთ-ერთი უმთავრესია მაქსიმალური სადაზღვევო თანხა / ლიმიტი (Treaty Capacity). თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ის პოლისი, რომლის სადაზღვევო თანხა / ლიმიტიც აჭარბებს ობლიგატორული ხელშეკრულების ლიმიტს, არ გადაიზღვევა ამ ხელშეკრულებით. ასეთ შემთხვევაში, გადამზღვეველი პასუხისმგებელია მხოლოდ ხელშეკრულების ლიმიტის ფარგლებში ან ლიმიტის პროპორციულად (იმის მიხედვით არაპროპორციულია გადაზღვევა თუ პროპორციული. ობლიგატორული გადაზღვევა უფრო პოპულარული ფორმაა ვიდრე ფაკულტატური. წინასწარაა განსაზღვრული გადასაზღვევი რისკების მახასიათებლები, მათი გადაზღვევა ხდება დაყოვნების გარეშე და პირდაპირი მზღვეველისათვის გარანტირებულია გადაზღვევის დაფარვა.

ფაკულტატურ – ობლიგატორული გადაზღვევა ფაკულტატური და ობლიგატორული ფორმების კომბინაციაა.

**ფაკულტატურ – ობლიგატორული გადაზღვევის** ფორმაა, რომელშიც პირდაპირ მზღვეველს შეუძლია (მაგრამ არაა ვალდებული) გადასცეს გადაზღვევაზე გადაზღვევის ხელშეკრულებით განსაზღვრული რისკები, ხოლო გადამზღვეველი ვალდებულია ყველა ეს რისკი მიიღოს გადაზღვევაზე.

გადაზღვევის ამ ფორმით განხორციელება პირდაპირ მზღვეველს საშუალებას აძლევს დაიტოვოს „კარგი“ რისკები, ხოლო „ცუდი“ რისკები გადასცეს გადამზღვეველს. ასეთი შეთანხმება სადაზღვევო კომპანიას აძლევს მეტ თავისუფლებას, მაგრამ აკისრებს კეთილსინდისიერად მოქმედების განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას და გადამზღვეველის ინტერესების გათვალისწინებას. ამიტომ

გადამზღვეველი ასეთ ხელშეკრულებებს დებს მხოლოდ იმ მზღვეველებთან, რომლებიც გამოირჩევიან მაღალი რეპუტაციით და საიმედოობით.

გადამზღვევსა და გადამზღვეველს შორის პასუხისმგებლობის განაწილების თვალსაზრისით განასხვავებენ პროპორციულ და არაპროპორციულ გადაზღვევას. მათ შორის განსხვავება მდგომარეობს თუ რის საფუძველზე ხორციელდება გადამზღვევსა და გადამზღვეველს შორის პასუხისმგებლობის განაწილება: სადაზღვევო თანხის თუ ზარალის მიხედვით. პროპორციული და არაპროპორციული გადაზღვევა გამოიყენება როგორც ობლიგატორული, ისე ფაკულტატური გადაზღვევის დროს.

პროპორციული გადაზღვევისას გადამზღვევი და გადამზღვეველი როგორც პასუხისმგებლობას, ასევე სადაზღვევო პრემიას ინაწილებენ მათი წილების პროპორციულად.

პროპორციული გადაზღვევის ორი ძირითადი სახე არსებობს: ქვოტური (Quota Share Reinsurance), ანუ წილობრივი, თანხის ექსცედენტის გადაზღვევა (Surplus Treaty), ანუ ლიმიტის მიხედვით და ქვოტურ-ექსცედენტური, ანუ შერეული.

ქვოტური გადაზღვევა არის პროპორციული გადაზღვევის ერთ-ერთი ქვესახეობა, რომლის მიხედვითაც მზღვეველი და გადამზღვეველი პროპორციულად ინაწილებენ რისკს შეთანხმებული ფიქსირებული წილების (ქვოტა) მიხედვით თითოეული სადაზღვევო პოლისისათვის.

თანხის ექსცედენტის გადაზღვევის დროს ყველა პოლისი, რომლის სადაზღვევო თანხა არ აჭარბებს გადამზღვევის (პირდაპირი მზღვეველის) პასუხისმგებლობის ლიმიტს, რჩება გადამზღვევის პასუხისმგებლობაში. გადამზღვეველი კომპანია პასუხს აგებს რისკის მხოლოდ იმ ნაწილზე, რაც აღემატება მზღვეველის პასუხისმგებლობის ლიმიტს. გადამზღვეველი ასევე არ არის პასუხისმგებელი გადაზღვევის ხელშეკრულების ლიმიტს ზემოთ დარჩენილ თანხაზე.

პრაქტიკაში ქვოტური გადაზღვევა და თანხის ექსცედენტის გადაზღვევა ხშირად ერთ ხელშეკრულებაშია გაერთიანებული. ასეთი ხელშეკრულების სტრუქტურა დამოკიდებულია გადამზღვევისა და გადამზღვეველის ინტერესებზე.

ქვოტურ – ექსცედენტის გადაზღვევა წარმოადგენს ქვოტური და თანხის ექსცედენტის კომბინაციას: გადაზღვევის ხელშეკრულებით განსაზღვრულ სიდიდემდე სადაზღვევო თანხებისათვის მოქმედებს ქვოტური გადაზღვევა, ხოლო სადაზღვევო თანხის ამ სიდიდეზე გადაჭარბების შემთხვევაში მოქმედებს თანხის ექსცედენტის გადაზღვევა.

ძირითადად გამოიყენება მზღვეველის საქმიანობის დასაწყისში პატარა სადაზღვევო პორტფელის შესაძლო რისკების მაქსიმალურად გამორიცხვისათვის.

არაპროპორციული გადაზღვევის შემთხვევაში, წინასწარ არ ხდება იმის დადგენა, თუ ზარალის რა ნაწილს ანაზღაურებს გადამზღვეველი. თითოეული მხარის წილობრივი მონაწილეობა ზარალებში განისაზღვრება ფაქტიურად მომხდარი ზარალების სიდიდის მიხედვით (ან ზარალების ჯამური მოცულობის მიხედვით). შესაბამისად, გადაზღვევის ხელშეკრულების გაფორმების მომენტში შეუძლებელია იმის განსაზღვრა თუ ზარალის რა წილს ანაზღაურებს გადამზღვეველი და პრემიის განაწილებაც არ არის პასუხისმგებლობის განაწილების იდენტური (პროპორციული გადაზღვევისგან განსხვავებით).

არაპროპორციული გადაზღვევის საფუძველია მხარეთა მონაწილეობა არა სადაზღვევო თანხაში, არამედ ფაქტიურად დამდგარ ზარალებში. გადამზღვეველის პასუხისმგებლობა განისაზღვრება არა სადაზღვევო თანხის, არამედ ფაქტიურად მომხდარი ზარალის სიდიდის მიხედვით. არაპროპორციული გადაზღვევის ხელშეკრულებით ისაზღვრება გარკვეული თანხა (პირდაპირი მზღვეველის საკუთარი დატოვება, ფრანშიზა, ნეტო დატოვება) და თუ ზარალების სიდიდე ნაკლებია ან ტოლია ამ თანხებზე, ყველა ზარალს ანაზღაურებს პირდაპირი მზღვეველი. თავის მხრივ გადამზღვეველი ვალდებულია ანაზღაუროს ყველა

ზარალი ამ თანხის ზემოთ ხელშეკრულებით დადგენილ გადაზღვევის დაფარვის (გადამზღვეველის პასუხისმგებლობის) ლიმიტამდე.

ზარალის ექსცედენტის გადაზღვევის დროს გადამზღვეველი ანაზღაურებს ზარალებს მხოლოდ მაშინ, როდესაც მათი სიდიდე გადააჭარბებს პირდაპირი მზღვეველის საკუთარ დატოვებას. იგი გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როდესაც სადაზღვევო თნხა და მოსალოდნელი ზარალი ძალიან დიდია ან პირდაპირი მზღვეველის სადაზღვევო ანაზღაურების ლიმიტი არაა განსაზღვრული. გადაზღვევის ეს სახე იყოფა ორ ქვესახეთ: იგი შეიძლება მოიცავდეს როგორც ერთი ინდივიდუალური რისკით გამოწვეული ცალკე ზარალის დაფარვას (მაგალითად საქარხნო კომპლექსის ხანძრით განადგურება), ასევე დიდი რაოდენობით მცირე ზარალების სერიას (მაგალითად ქარიშხლით დაზიანებული სახლები ).

რისკით გამოწვეული ზარალის გადაზღვევის დროს გადამზღვეველი ფარავს იმ ზარალებს, რომლებიც ერთი ინდივიდუალური რისკით არის გამოწვეული (მზღვეველის საკუთარი დატოვება განისაზღვრება ამ რისკისათვის). ხოლო კატასტროფით გამოწვეული ზარალის გადაზღვევისას გადამზღვეველი ფარავს იმ ზარალებს, რომლებიც ერთი მიზეზით ერთდროულად გამოწვეული ზარალების სერიას წარმოადგენს (მზღვეველის საკუთარი დატოვება განისაზღვრება კატასტროფული მოვლენისათვის ).

ზარალის ექსცედენტის გადაზღვევის უპირატესობებია მზღვეველის პორთფელის დაცვა განსაკუთრებით დიდი და გაუთვალისწინებელი ზარალებისაგან და მთლიანი პორთფელის ფინანსური წონასწორობის უზრუნველყოფა.

საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე დიდია მოთხოვნა საერთაშორისო გადაზღვევაზე. სადაზღვევო კომპანიების უმეტესობა სარგებლობს დასავლეთის გადამზღვეველების პროფესიონალური მომსახურებებით, არა მხოლოდ თავისი ფინანსური მდგრადობის უზრუნველსაყოფად, არამედ რისკების მართვის გამოცდილი სპეციალისტების მოზიდვის მიზნით.



კვლევის მიზანია გავიგოთ თუ რომელი სადაზღვევო კომპანიები ახორციელებენ გადაზღვევას საქართველოში, როგორ და რა ფორმით ხდება გადაზღვევა მსოფლიოს წამყვან კომპანიებთან, რომელ კომპანიებში ახდენენ გადაზღვევას, რა რისკების გადაზღვევას ახორციელებენ, გადაზღვევის რომელ ფორმას ანიჭებენ უპირატესობას (ფაკულტატური, ობლიგატორული, ფაკულტატურ-ობლიგატორული), გადაზღვევის რომელ ტიპს იყენებენ (პროპორციული, არაპროპორციული).

### კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველია გადაზღვევის საკითხებზე არსებული ქართული და უცხოური ლიტერატურა, საქართველოს საკანონმდებლო აქტები, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალები. კვლევა მოიცავდა თვისებრივ კომპონენტს. თვისებრივი კვლევა გულისხმობდა გადაზღვევის ექსპერტების მოსაზრებების იდენტიფიცირებას. თვისებრივი კომპონენტის ფარგლებში ჩატარდა ფოკუსური ჯგუფის დისკუსიები და ჩაღრმავებული ინტერვიუ. ფოკუსური ჯგუფის დისკუსიები და ჩაღრმავებული ინტერვიუ შედგა მზღვეველების წარმომადგენლებთან. საქართველოში მოქმედი თორმეტი სადაზღვევო კომპანიიდან მხოლოდ ხუთი დათანხმდა კვლევაში მონაწილეობის მიღებაზე. სადაზღვევო კომპანია „აი სი ჯგუფი“, სადაზღვევო კომპანია „ირაო“, სადაზღვევო კომპანია „სტანდარტ დაზღვევა“, სადაზღვევო კომპანია „არდი“, სადაზღვევო კომპანია „ჩარტისი“, სადაზღვევო კომპანია „ალდაგი“. თვისებრივი კომპონენტის ფარგლებში განხორციელდა ფოკუსური ჯგუფი 2013 წლის ნოემბერს, თბილისში. ფოკუსური ჯგუფის ხანგრძლივობა იყო 2-2.5 საათი, ხოლო ჩაღრმავებული ინტერვიუს ხანგრძლივობა - დაახლოებით 1 საათი.

## შედეგები

2011 წლის მონაცემებით, საქართველოში მოქმედი 15 სადაზღვევო კომპანიიდან ყველაზე დაზღვეული კომპანია „უნისონი“ აღმოჩნდა, რომელმაც 2011 წლის 6 თვის პერიოდში მოზიდული პრემიის 94,8 % გადააზღვია. რეიტინგში მეორე პოზიციაზეა „ჩარტის ევროპა საქართველოს ფილიალი“, რომლის მიერ აღებული რისკების 37%-ია გადაზღვეული. მესამე კი „პარტნიორია“ - 36,8%-ით. „ჯი-პი-აი ჰოლდინგს“, „ალდაგი ბისიას“ და „იმედს“ მოზიდული პრემიის 15,6%, 21,4 % და 2,7 % აქვთ გადაზღვეული. რისკების უმნიშვნელო წილები აქვთ გადაზღვეული „ალფას“, „ქართუს“ და „არდი ჯგუფს“, რაც შეეხება „ტაოს“ და „ჰსპ დაზღვევას“ მათი რისკები გადაზღვეული არ არის. რეიტინგი შედგენილია საქართველოს ეროვნული ბანკის საიტზე გამოქვეყნებული ანგარიშებზე დაყრდნობით და მიუთითებს გადაზღვევის წილს კომპანიების მიერ მოზიდული პრემიების პორტფელში.

ცხრილი 1: გადაზღვევის წილი კომპანიების მიერ მოზიდული პრემიების პორტფელში, საქართველი, 2011 წ.

სადაზღვევო კომპანია	მოზიდული პრემია	გადაზღვევის პრემია	%
უნისონი	12,623,726	11,972,016	94,8
ჩარტის ევროპა ს.ა. საქართველოს ფილიალი	846,020	313,392	37
პარტნიორი	2,313,667	852,612	36,8
სტანდარტ დაზღვევა საქართველო	566,194	160,979	28,4
ალდაგი ბისიაი	31,825,004	6,830,913	21,4
ჯი პი აი ჰოლდინგი	33,577,360	5,251,812	15,6
ირაო	14,416,090	2,042,989	14,1
აი სი ჯგუფი	17,869,781	2,348,579	13,1
იმედი L International	28,462,150	759,902	2,7
ქართუ	9,346,770	88,563	0,9
არდი ჯგუფი	1,461,432	1237	0,08
ალფა	22,193,658	14,041	0,06
არქიმედეს გლობალ ჯორჯია	3,553,062	0	0
ტაო	3,005,042	0	0
ჰსპ დაზღვევა	2,232,432	0	0

ცხრილი 2: საქართველოს გადაზღვევის ბაზარი. 2013 წ.

სადაზღვევო კომპანია	სად ახდენს გადაზღვევას?*	გადაზღვევის რომელ ფორმას ანიჭებს უპირატესობას**	გადაზღვევის რომელ ტიპს იყენებს	გადაზღვევის უპირატესი სახეობა
აი სი ჯგუფი	„CKOP перестрахование» და „Polish Re“	ძირითადად ობლიგატორულ გადაზღვევას. ფაკულტატურ გადაზღვევას მხოლოდ აუცილებლობისას (საავიაციო რისკებისთვის)	პროპორციული	გადაზღვევის ყველა იმ სახეს რომელიც შედის პროპორციულ გადაზღვევაში
ირაო	** VIG Re; Vienna Insurance Group, Lloyd's of London, Munich Re, Hannover Re, SCOR (France), Ace European Group	ძირითადად იყენებს ობლიგატორულ გადაზღვევას. ფაკულტატურ გადაზღვევას იყენებს მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში	პროპორციული და არაპროპორციული გადაზღვევა	ქვოტურ და თანხის ექსცედენტის გადაზღვევა, ზარალის ექსცედენტის გადაზღვევას პროდუქტის აკუმულირებული რისკის მიხედვით.
სტანდარტ დაზღვევა	Polish Re; RSA Insurance Hannover Re; SCOR; ACE; ZURICH Converium Allianz, Partner Re; POCHO Unity Re; Munich Re; Ингосстрах	ძირითადად იყენებს ობლიგატორულ გადაზღვევას. ფაკულტატურ გადაზღვევას იყენებს მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში	პროპორციული და არაპროპორციული გადაზღვევა	ქვოტურ გადაზღვევა
არდი	BL International Munich Re Scor AXA Hannover Re ACE LLOYD'S	ძირითადად ობლიგატორულ გადაზღვევას. ფაკულტატურ გადაზღვევას მხოლოდ აუცილებლობისას	პროპორციული და არაპროპორციული გადაზღვევა	ქვოტურ გადაზღვევას, თანხის ექსცედენტის და ზარალის ექსცედენტის გადაზღვევას.
ზარტისი	AIG**	ძირითადად ობლიგატორულ გადაზღვევას. ფაკულტატურ გადაზღვევას მხოლოდ აუცილებლობისას	პროპორციული და არაპროპორციული გადაზღვევა	
აღდაგი	SCOR, Hannover Re, Polish Re, Sava Re, Syndicates of Lloyd's, Allianz, British Marine, Munich Re, Chartis, ACE, General Insurance Corporation of India, Ingosstrakh, Sovag, General Cologne Re.			

შენიშვნა: \* ინფორმაცია მოპოვებულია სადაზღვევო კომპანიების ვებ გვერდებიდან. 2014 წლის 18 იანვრის მდგომარეობით. \*\* ინფორმაცია მოპოვებულია ინტერვიუების შედეგად. 2013 წლის 15 დეკემბერი.

ქართული სადაზღვევო კომპანიები გადაზღვევას მსოფლიოს წამყვან კომპანიებში ახორციელებენ. *სადაზღვევო კომპანია აი სი ჯგუფი* ახდენს ქონებასთან, სამშენებლო-სამონტაჟო საქმიანობასთან, ტვირთებთან, კონტეინერებთან დაკავშირებული რისკების გადაზღვევას. გადამზღვეველებს წარმოადგენენ შემდეგი კომპანიები: «СКОР перестрахование» და Polish Re.

გადაზღვევის კომპანია Polish Re პოლონური კომპანიაა, რომელიც დაარსდა 1996 წლის ივნისში. იგი ერთ-ერთი უდიდესი ფინანსური მომსახურების ექსპორტიორია პოლონეთში.

„СКОР перестрахование“ წარმოადგენს ფრანგული კომპანიის ფილიალს რუსეთში. გადაზღვევის კომპანია SCOR შეიქმნა პარიზში 1970 წელს საფრანგეთის მთავრობის გადაწყვეტილებით. კომპანიის თავდაპირველი სახელწოდება Société Commerciale de Réassurance ნიშნავს „კომერციული გადაზღვევის კომპანია“-ს. კომპანია წარმოადგენს პირველ გადაზღვევის ჯგუფს საფრანგეთში. იგი ასევე შედის მსოფლიოში უმსხვილეს გადამზღვევი კომპანიების ხუთეულში. მას ყავს 49 შვილობილი კომპანია 30 ქვეყანაში. 1998 წლიდან გადაზღვევის კომპანია ფუნქციონირებს მოსკოვშიც „СКОР перестрахование“ სახით.

აღნიშნულ გადამზღვეველ კომპანიებთან სადაზღვევო კომპანია აი სი ჯგუფი იყენებს გადაზღვევის ობლიგატორულ ფორმას ქონებასთან, სამშენებლო-სამონტაჟო საქმიანობასთან, ტვირთებთან, კონტეინერებთან დაკავშირებული რისკების გადასაზღვევად. სადაზღვევო კომპანია აი სი ჯგუფი გარკვეული რისკების (მაგ. საავიაციო) გადაზღვევას აწარმოებს მისთვის სასურველ გადამზღვევ კომპანიებში, რომლებიც უკეთეს პირობებს სთავაზობს. ასეთ დროს გადაზღვევა ხორციელდება ფაკულტატურად.

დღესდღეობით სადაზღვევო კომპანია აი სი ჯგუფი იყენებს მხოლოდ პროპორციული გადაზღვევის ტიპს. თუმცა, 2013 წლამდე კომპანია სარგებლობდა არაპროპორციული გადაზღვევის ტიპის ხელშეკრულებებითაც. რაც შეეხება

გადაზღვევის სახეს სადაზღვევო კომპანია აი სი ჯგუფი იყენებს გადაზღვევის ყველა იმ სახეს რომელიც შედის პროპორციულ გადაზღვევაში.

*სადაზღვევო კომპანია „ირაო“* ახდენს ქონებრივი, საზღვაო, საავიაციო და პასუხისმგებლობების რისკების გადაზღვევას. ამისათვის იყენებს ისეთ საერთაშორისო რეიტინგის მქონე კომპანიებს, როგორებიცაა: VIG Re (Czech Republic), ვენის სადაზღვევო ჯგუფი (Vienna Insurance Group), ლონდონის ლლოიდი (Lloyd's of London), მიუნხენის გადაზღვევის კომპანია (Munich Re), Polish Re, ჰანოვერის გადაზღვევის კომპანია (Hannover Re), SCOR (France); Ace European Group (Great Britain)

ვენის სადაზღვევო ჯგუფი (Vienna Insurance Group) ევროპის წამყვანი, საუკუნეზე მეტი ხნის სადაზღვევო გამოცდილების მქონე კომპანიაა. მისი სათავო ოფისი ავსტრიის დედაქალაქ ვენაში მდებარეობს. ვენის სადაზღვევო ჯგუფი წარმოდგენილია ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის 25 ქვეყანაში.

ლონდონის ლლოიდი (Lloyd's of London) მსოფლიოს 200-ზე მეტ ქვეყანაში აწარმოებს ბიზნესს. კომპანიის სათავო ოფისი მდებარეობს დიდ ბრიტანეთში. მიუნხენის გადაზღვევის კომპანიას (Munich Re) 50-ზე მეტი ბიზნეს ერთეული გააჩნია მთელ მსოფლიოში. ჰანოვერის გადაზღვევის კომპანია (Hannover Re), რომელიც დარსდა 1966 წელს (ATR - Aktiengesellschaft für Transport- und Rückversicherung) ასევე წარმოადგენს ერთ-ერთ წამყვან გადაზღვევის კომპანიას მსოფლიოში. ბრიტანული გადაზღვევის კომპანია Ace European Group ახორციელებს ბიზნესს მსოფლიოს 53 ქვეყანაში. კომპანია თავის მომხმარებლებს სთავაზობს ქონების, ჯანმრთელობის და უბედური შემთხვევების გადაზღვევის ფართო სპექტრს.

სადაზღვევო კომპანია „ირაო“ ძირითადად იყენებს გადაზღვევის ობლიგატორულ ფორმას. ფაკულტატურ გადაზღვევას იყენებს მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში, რადგან ხშირ შემთხვევაში უფრო ძვირია და მოითხოვს დიდ დროს.

ირაო იყენებს როგორც პროპორციულ ისე არაპროპორციულ გადაზღვევის ტიპს, რისკის სპეციფიკიდან გამომდინარე. პროპორციული გადაზღვევიდან ირაო იყენებს ქვოტურ და თანხის ექსცედენტის გადაზღვევას. არაპროპორციული გადაზღვევიდან ზარალის ექსცედენტის გადაზღვევას პროდუქტის აკუმულირებული რისკის მიხედვით. მაგალითად, ქონებრივი რისკი შეიძლება გადაზღვეული იქნას სამივე ტიპის დაზღვევით.

**სადაზღვევო კომპანია „სტანდარტ დაზღვევა“** აწარმოებს სიცოცხლის და არასიცოცხლის დაზღვევას. იგი რისკების გადაზღვევას ახდენს მხოფლიოს სხვადასხვა გადამზღვეველ კომპანიებში. რისკების გადაზღვევა ხორციელდება გადაზღვევის ბროკერის მეშვეობით, რომელიც ანაწილებს რისკებს რამოდენიმე კომპანიას შორის. გადაზღვევის ბროკერები არიან: MAI Georgia, Marsh, Aon, MALAKUT.

„სტანდარტ დაზღვევა“ რისკებს გადააზღვევს შემდეგ კომპანიებში: Polish Re; Hannover Re; SCOR; ACE; Allianz, Partner Re; Unity Re; Munich Re; Ingostrakh.

Allianz წარმოადგენს გერმანულ ფინანსური მომსახურების კომპანიას. მისი სათავო ოფისი მდებარეობს მიუნხენში. „სტანდარტ დაზღვევის“ საავიაციო რისკები განთავსებულია Lloyd's- ის სინდიკატებში.

ჰომოგენური რიკების გადაზღვევა ხორციელდება მთლიანად ობლიგატორული გადაზღვევის ფორმის მეშვეობით. ვინაიდან ერთგვაროვან რისკებს მოიცავს, ამიტომ სტანდარტ დაზღვევას აქვს ბუკეტ თრითი/ობლიგატორული გადაზღვევა ყველა სახეობაში.

კომპანია ფაკულტატურ გადაზღვევას მიმართავს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ რისკის მოცულობა აღემატება ობლიგატორული ხელშეკრულების ლიმიტს, ან თუ რისკი თავისი თვისებით არის გამორჩეული და არ ჯდება სტანდარტულ რისკებში. სადაზღვევო კომპანია კაპიტალის მართვისთვის იყენებს პროპორციული გადაზღვევის ტიპს. მათი ობლიგატორი არის პროპორციული „სარპალას თრითი“. კომპანია იყენებს ქვოტურ გადაზღვევის სახეს.

**სადაზღვევო კომპანია „არდი“**, ახორციელებს მსხვილი რისკების გადაზღვევას მსოფლიოს ისეთ წამყვან გადამზღვევ კომპანიებში, რომლებიც განსაკუთრებით კარგად იცნობენ ქართული სადაზღვევო ბაზრის სპეციფიკას და ადაპტირებულნი არიან მასზე. სადაზღვევო კომპანია „არდი“ სხვადასვა რისკებს ძირითადად ბროკერების საშუალებით გადააზღვევს. კომპანია აწარმოებს გადაზღვევას ისეთ კომპანიებში, როგორებიც არიან: Munich Re, Scor, Hannover Re, ACE, LLOYD's.

კომპანია გამოიყენებს გადაზღვევის როგორც ობლიგატორულ ასევე ფაკულტატურ ფორმებს. ობლიგატორული ხელშეკრულებით განსაზღვრულ რისკებს იგი გადააზღვევს CBL insurance კომპანიაში, ხოლო ფაკულტატური ხელშეკრულებით განსაზღვრულ რისკებს EIG კომპანიაში.

სადაზღვევო კომპანია „არდი“ გამოიყენებს გადაზღვევის როგორც პროპორციულ ასევე არაპროპორციულ ტიპებს. იგი გამოიყენებს ქვოტურ გადაზღვევის სახეს, თანხის ექსცედენტის გადაზღვევას და ზარალის ექსცედენტის გადაზღვევას.

**სადაზღვევო კომპანია „ჩარტისი“** არის მსოფლიოს უმსხვილესი სადაზღვევო კომპანია ეი-აი-ჯი-ს (AIG) ფილიალი, შესაბამისად იგი გადაზღვევას ახორციელებს AIG შიდა სტრუქტურებში (ანუ იმ დანაყოფებში, რომლებიც კომპანიის სხვადასხვა ქვეყანაში არსებული ფილიალებიდან რისკების გადაზღვევას ახდენდნენ). ეს გადაზღვევები ძირითადად იყო, როგორც პროპორციული ობლიგატორული ასევე არაპროპორციული ობლიგატორული.

ცალკეულ შემთხვევებში კომპანია ახდენს რისკების (პროპორციულ და არაპროპორციულ) ფაკულტატურ გადაზღვევას არა ეი-აი-ჯი-ს კუთვნილ კომპანიებში, რომელთა შერჩევაც ხდებოდა ეი-აი-ჯი-ს მიერ დამტკიცებული გადამზღვევი კომპანიების სიიდან.

**სადაზღვევო კომპანია „ალდაგი“** ახორციელებს დაზღვევას შემდეგ სახეობებში: ავტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა, სავალდებულო ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებათა დაზღვევა,

სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა, საჰაერო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა, საწყალოსნო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა, უბედური შემთხვევებისაგან და ავადმყოფობისაგან დაზღვევა, ქონების დაზღვევა, სამედიცინო დაზღვევა, ტვირთების დაზღვევა, სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა, ავტოტრანსპორტის მფლობელთა სამოქალაქო პასუხისმგებლობის ნებაყოფლობითი დაზღვევა, ფინანსური რისკების დაზღვევა, სიცოცხლის დაზღვევა, გადამზიდველის სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა.

„აღდაგი“ ახორციელებს გადაზღვევას მსოფლიოს წამყვანი კომპანიების საშუალებით, როგორებიცაა: (SWISS RE (შვეიცარია), (MUNICH RE (გერმანია), LLOYD's of London (დიდი ბრიტანეთი), ROYAL & SUNALLIANCE (დიდი ბრიტანეთი), GENERALLY (იტალია) და BRKERIS J&H MARSH & MELENNAN).

## დისკუსია, დასკვნა

საქართველოში მოქმედი თორმეტი სადაზღვევო კომპანიიდან მხოლოდ ხუთი დათანხმდა კვლევაში მონაწილეობის მიღებაზე. როგორც კვლევის შედეგებიდან ჩანს, სადაზღვევო კომპანიების უმრავლესობა გადაზღვევას აწარმოებს მსოფლიოს სხვადასხვა გადამზღვევ, თუ სადაზღვევო ორგანიზაციებში. გამონაკლისი შემთხვევების გარდა ისინი ძირითადად იყენებენ გადაზღვევის ობლიგატორულ ფორმას. გადაზღვევის ფაკულტატური ფორმის გამოყენება ხდება მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში. აღნიშნული განპირობებულია იმ მიზეზით, რომ გადაზღვევის ბიზნესი შედარებით ახალგაზრდაა საქართველოში და შედეგად, სადაზღვევო ორგანიზაციები ცდილობენ დადონ გადაზღვევის ობლიგატორული ხელშეკრულებები. ეს გასაგებიცაა, რადგან ფაკულტატურ ფორმასთან განსხვავებით ობლიგატორული ფორმა დაკავშირებულია გადაზღვევის ავტომატურ მოქმედებასთან, რაც გულისხმობს, რომ პირდაპირი მზღვეველისათვის გარანტირებულია გადაზღვევის დაფარვა. ამ დროს, ობლიგატორული გადაზღვევის ფორმის დროს სადაზღვევო კომპანიისათვის წინასწარაა განსაზღვრული



გადასაზღვევი რისკების მახასიათებლები და მათი გადაზღვევა ხდება დაყოვნების გარეშე. პირდაპირი მზღვეველი ვალდებულია გადასცეს, ხოლო გადამზღვეველი ვალდებულია მიიღოს გადაზღვევის ხელშეკრულებით განსაზღვრული ყველა რისკი. შესაბამისად, მცირდება ადმინისტრაციული ხარჯები. ამრიგად, ობლიგატორული ხელშეკრულების დადების შემთხვევაში სადაზღვევო კომპანია უფრო დაცულად გრძნობს თავს, რადგან ყველა რისკს იღებს გადამზღვევი კომპანია და მას არა აქვს უფლება, რომელიმე რისკი მიიღოს ან არ მიიღოს.

სადაზღვევო კომპანიები იყენებენ გადაზღვევის ორივე (პროპორციული, არაპროპორციული) ტიპს, მაგრამ ისინი მაინც უპირატესობას ანიჭებენ პროპორციულ გადაზღვევას, რადგან პროპორციული გადაზღვევა პირდაპირაა დკავშირებული მზღვეველის სადაზღვევო პასუხისმგებლობის სიდიდესთან, სადაზღვევო თანხასთან. მზღვეველიც და გადამზღვეველიც გადაზღვევის ხელშეკრულებით განსაზღვრული პროპორციით ინაწილებენ ამ პასუხისმგებლობას და სადაზღვევო თანხას.

სადაზღვევო კომპანიები ასევე იყენებენ გადაზღვევის ყველა სახეს, რომელიც შედის პროპორციულ და არაპროპორციულ გადაზღვევაში.

გამოკითხულ ექსპერტთა აზრით, გადაზღვევა წარმოადგენს სადაზღვევო ორგანიზაციების ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის ინსტრუმენტს, რომელიც მათ ეხმარება ზარალიანობის სტაბილიზებაში, რადგან დიდ რისკებთან დაკავშირებული ზარალები, რომლებსაც კაპიტალის სიმწირის გამო ვერ იხდიან სადაზღვევო კომპანიები, შეუძლიათ გადაიხადონ გადაზღვევის მეშვეობით.

დღეს გადაზღვევა ხდება დაზღვევის თითოეული სახის არსებითი შემადგენელი ნაწილი. საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე დიდია მოთხოვნა საერთაშორისო გადაზღვევაზე. სადაზღვევო კომპანიების უმეტესობა სარგებლობს დასავლეთის გადამზღვეველების პროფესიონალური მომსახურეობებით, არა მხოლოდ თავისი ფინანსური მდგრადობის უზრუნველსაყოფად, არამედ რისკების მართვის გამოცდილი სპეციალისტების მოზიდვის მიზნით.

## აბსტრაქტი

**შესავალი:** გადაზღვევა წარმოადგენს სადაზღვევო კომპანიის დაცვის სისტემას, რომლის მიზანიცაა კატასტროფული ზარალებისგან სადაზღვევო კომპანიის დაცვა. კვლევის მიზანია გავიგოთ თუ რომელი სადაზღვევო კომპანიები ახორციელებენ გადაზღვევას საქართველოში, როგორ და რა ფორმით ხდება გადაზღვევა მსოფლიოს წამყვან კომპანიებთან, არის თუ არა გადაზღვევა სადაზღვევო ორგანიზაციების ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის ინსტრუმენტი. **მეთოდოლოგია:** კვლევის მიზნით შესწავლილ იქნა გადაზღვევის საკითხთან დაკავშირებული სამეცნიერო სტატიები. ჩატარებულ იქნა თვისებრივი კვლევა, რაც გულისხმობდა ჩაღრმავებით ინტერვიუებას უშუალოდ სადაზღვევო კომპანიების PR მენეჯერებთან და ანდერაიტერებთან. **შედეგები, დასკვნა:** კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოში მოქმედი მზღვეველების უმრავლესობა გადაზღვევას აწარმოებენ მსოფლიოს სხვადასხვა გადამზღვევ ორგანიზაციებში. ძირითადად იყენებენ გადაზღვევის ობლიგატორულ ფორმას, რადგან იგი დაკავშირებულია გადაზღვევის ავტომატურ მოქმედებასთან და ადმინისტრაციული ხარჯების შემცირებასთან. ამასთან, წინასწარაა განსაზღვრული გადასაზღვევი რისკების მახასიათებლები და მათი გადაზღვევა ხდება დაყოვნების გარეშე. პირდაპირი მზღვეველისათვის გარანტირებულია გადაზღვევის დაფარვა. მზღვეველების უმრავლესობა იყენებს გადაზღვევის პროპორციულ ტიპს, რადგან იგი კაპიტალის მართვისთვის ყველაზე ეფექტურია. ამასთან, ამ პროპორციული გადაზღვევის დროს პირდაპირი მზღვეველიც და გადამზღვეველიც პასუხისმგებლობას, სადაზღვევო პრემიასა და ზარალს ინაწილებენ რისკში მონაწილეობის პროპორციით. გადაზღვევა წარმოადგენს სადაზღვევო ორგანიზაციების ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფის ინსტრუმენტს, რომელიც სადაზღვევო კომპანიებს ეხმარება ზარალიანობის სტაბილიზებაში.

**ძირითადი საძიებო სიტყვები:** გადაზღვევა, სადაზღვევო, კვლევა.

## Reinsurance of the insurance organizations

Tengiz Verulava, Mariam Chubinidze

### Abstract

**Introduction:** Reinsurance presents security system of insurance companies, whose aim is to protect insurance company from catastrophic losses. The goal of researches is to understand what presents reinsurance today, which insurance companies are executing in Georgia, how and in what form are making reinsurance with the world's leading companies. Is or not the reinsurance, insurance instrument of financial stability for insurance organization. **Methodology:** According to the master's work, was carried out literature review, introduced in the secondary theoretical materials related to this field, published publications, articles, books. The qualitative research was conducted through interviewers directly to the PR managers and underwriters of insurance companies. **Result:** The study revealed that the majority of acting insurers in Georgia are making reinsurance with world's different reinsurance or in insurance companies. With certain exceptions, they are applying to a form of obligatory reinsurance. This is understandable, because with the difference of facultative form, it is related to the automatic actions of reinsurance, and to the reductions of administrative costs. Withal, there are pre-defined characteristics risks of reinsurance and its reinsurance are made without delay. For direct insurer is guaranteed cover of reinsurance. According to the researches, the majority of the insurer are using proportional type of reinsurance, this type reinsurance is the most effective for the management of capital, because the direct insurer and reinsurers sharing the responsibilities into insurance premium and sharing losses in to the risks by the proportional participation. According to respondents, reinsurance is the instrument of the ensuring of financial stability for insurance companies, which helps insurance companies to stabilize the loss.

**Keywords:** Reinsurance, Insurance.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. გიორგი გიგოლაშვილი. სადაზღვევო საქმე. გამომცემლობა კომერსანტი. თბილისი, 2010
2. ვერულავა, თენგიზ. 2009. ჯანდაცვის ეკონომიკა და დაზღვევა. თბილისი.
3. Edwin W. Kopf, FCAS, "The Origin and Development of Reinsurance," *Proceedings of the Casualty Actuarial Society* (Casualty Actuarial Society) XVI (1929)